ვებინარი თემაზე:

,,უსაფრთხოების ფილოსოფია"

მიმდინარე წლის 5 ივნისს 21 საათზე ,,უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის" (უსმა/ usma) ორგანიზებით გაიმართა ვებინარი თემაზე: ,,უსაფრთხოების ფილოსოფია". ღონისძიების მოდერატორები: ასოციაციის თავმჯდომარე, მეცნიერებათა დოქტორი ბესიკ ობოლაძე და თამარ ახალკაციშვილი - ასოციაციის პროექტების კოორდინატორი; სპიკერები: მამია (მამუკა) სურმავა - ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი; ანალიტიკურ ორგანიზაცია ,,ჯეოქეისის" თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების დირექტორი გიორგი ანთაძე ალიკა გუჩუა - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი; ნინო შუკვანი - პოლიტიკის ფილოსოფოსი.

მოხსენება ადამიანის უსაფრთხოების კონცეფციასა და მის გავლენაზე საერთაშორისო სამართლებრივ წესრიგზე გააკეთეს: თამარ რუსეიშვილმა - უსაფრთხოების მკვლევარმა და თინათინ ობოლაძემ -საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელმა დემოკრატიული თანამეგობრობის ორგანიზაციაში (CoD).

შეხვედრაზე გაანალიზდა უსაფრთხოების პრობლემატიკა, როგორც ისტორიულად ცვლადი ამოცანა საზოგადოების განვითარებისა და თვითგადარჩენის პოზიციიდან, შეფასდა, რომ უსაფრთხოებას გააჩნია ადამიანური განზომილება სოციალური განვითარების ნებისმიერ ეტაპზე და იგი წარმოგვიდგება, როგორც ერთ - ერთი უმთავრესი ღირებულება და წინაპირობა თავად ადამიანის ყოფისა და საზოგადოების განვითარებისა. აღნიშნულიდან გამომდინარე შეხვედრაზე საუბარი იყო უსაფრთხოების აქსიოლოგიურ და სოციოკულტურულ ხასიათზე.

ვებინარისთვის - „უსაფრთხოების ფილოსოფია“ მომზადების პროცესში, ასოციაციის თავმჯდომარის ბესიკ ობოლაძის მიერ წარდგენილ იქნა ვებინარის სპიკერებისა და მონაწილეებისადმი განსახილველი საკითხების მოკლე მიმოხილვა.

,,უსაფრთხოების ფილოსოფია“- ვებინარზე განსახილველი საკითხების მოკლე მიმოხილვა

(ბესიკ ობოლაძე)

<u>ნაწილი I</u>

საზოგადოების ისტორიული განვითარება წარმოუდგენელია ღირებულებების ტრანსფორმაციის უწყვეტი პროცესის გარეშე.

აქსიოლოგიური სიტუაცია, რასაც ჩვენ ეპოქაში ვაკვირდებით ისტორიულად უპრეცედენტოა და წარმოადგენს შედეგს მრავალრიცხოვანი საშინაო და საგარეო ხასიათის ფაქტორების ზემოქმედებისა, რომელთა შორის ყველაზე არსებითია გლობალიზაციის პროცესი.

სწორედ გლობალიზაციის გავლენით, მთელი რიგი ღირებულებითი საფუძვლები, როგორც საზოგადოების ერთგვარი ,,შემკვრელი“, მის შეიძლება ითქვას ყველაზე ღრმა შრეებში კარგავს თავის აქტუალობას და ჩნდება ახალი, ამა თუ იმ სოციალურ-კულტურული ფორმირებისათვის არადამახასიათებელი ღირებულებითი პარადიგმები, რასაც მივყავართ ახალ ძირითად საყრდენებზე ღირებულებით სფეროში. ამ ვითარებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა საკმაოდ რთულდება. უნდა ითქვას, რომ თანამედროვე სამყაროში ერთიანი სისტემა ღირებულებითი პრიორიტეტებისა პრაქტიკულად შეუძლებელია.

სოციოკულტურული ფორმირება უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთავარ მექანიზმად ირჩევს ღირებულებით-ნორმატიულ დაცვას. ფუძემდებლური ღირებულებები,რომლებიც განსაზღვრავენ მოცემული სოციოკულტურულობის თავისებურებას, არის ამავე დროს მისი ფუნქციონირების შემზღუდველი.

ნებისმიერი ფორმირების განვითარება უნდა განისაზღვროს გარკვეული ზღვრული მნიშვნელობებით მოცემული დროის პერიოდისათვის. ასეთი ,,სასაზღვრო მნიშვნელობის“ წერტილები ერთის მხრივ მიეკუთვნება მოცემულ სოციოკულტურულობას და მეორეს მხრივ პასუხისმგებელნი არიან სხვა სოციოკულტურული ფორმირების ელამენტებთან ურთიერთობაზე.

ასეთ ,,სასაზღვრო მნიშვნელებად“ უნდა ჩავთვალოთ ის ფუძემდებლური ღირებულებები, რომლებიც განასხვავებენ მოცემულ სოციოკულტურულობას სხვისგან.

ღირებულობები არა მარტო რეგულატორია სოციალური ურთიერთობების, არამედ აძლევს საზღვრებს ამ ურთიერთობებს ანუ საერთო სოციოკულტურული ფორმირების საზღვრებს.

ეს ღირებულებები განიცდიან , როგორც წესი ,,დარტყმებს“ გარედან და მის მდგრადობაზე გარე ზემოქმედებისადმი დამოკიდებულია ,,გაურღვევლობა“ მთელი სოციოკულტურული სივრცის.

ახალმა ეპოქამ, ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა ,,შეასუსტა“ ,,სასაზღვრო“ ღირებულებების ფუნქციები და გაამარტივა ,,შეღწევა“ და შერწყმა სხვა აქსიოლოგიური ელემენტებისა.

ეს პროცესები გამოიხატება ახლი ღირებულებების გაჩენაში, რომელიც წარმოადგენს სიმბიოზს და განაპირობებს მეტამორფოზას მთელი სოციოკულტურული სივრცის.

,,სასაზღვრო წერტილების“ დამცავი ფუნქცია პირდაპირ კავშირშია უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამოცანასთან.

თანამედროვე გლობალიზაცია, კულტურული ასიმილაცია დეფორმირებას უკეთებს სოციოკულტურული ფორმირების ღირებულებით საფუძვლებს. მიუხედავად ამისა თანამედროვე აქსიოლოგიური სიტუაცია შეუძლებელია დახასიათდეს, რომ სრულად ირღვევა ღირებულებითი სისტემა.

დღეისათვის მიზანშეწონილია ვისაუბროთ არა მკაფიოდ სტრუქტურიზებულ სოციალურ აქსიოსფეროზე, არამედ არახაზობრივ ღირებულებით ორგანიზაციაზე, რომელიც ინარჩუნებს რა გარკვეულ მთლიანობას, მაინც განსხვავებულია.

პოსტმოდერნისტული ფილოსოფია ასეთი ორგანიზმის დასახასიათებლად იყენებს ტერმინს- რიზომა, რომელიც ყველაზე ნათლად ასახავს დღეისათვის მსოფლიოში არსებულ ღირებულებით სიტუაციას. ამთან ერთად არ არსებობს რა ერთიანი ცენტრი, წონასწორობა, ამასთან ერთად არსებობს განსაზღვრული ორგანიზაციული წესრიგი.

ღირებულებითი რეზომის სიტუაციაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა ძნელდება ერთიანი აქსიოლოგიური ღეძის არარსებობის გამო.

<u>ნაწილი II</u>

უსაფრთხოება კომპლექსური და მრავალდონიანი ფენომენია. თანამედროვეობის ხარისხობრივი ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარების კონტექსტში მოითხოვს უსაფრთხოების პრობლემის ღრმა თეორიულ-მეთოდოლოგიურ გააზრებას.

უსფრთხოებასთან დაკავშირებული პირველი ,,დაკვირვებები“ სათავეს იღებს საზოგადოების ფორმირების დროიდან.

უსაფრთხოების პრობლემა ყველაზე განზოგადებული სახით წარმოგვიდგება, როგორც ისტორიულად ცვალებადი ამოცანა საზოგადოების განვითარებისა და თვითგადარჩენის პოზიციიდან.

ყოველ ისტორიულ ეპოქაში გამომუშავდებოდა გარკვეული მიდგომები, დღევანდელი ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით-უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიები.

ადრეულ ისტორიულ სტადიებზე, მითოლოგიური მსოფლმხედველობის ეტაპზე, უსაფრთხოება გაიგებოდა ადამიანის ბუნებასთან ურთიერთობის კონტექსტში და საფრთხის

იდენტიფიცირება ხდებოდა.

ძველი აღმოსავლეთის ფილოსოფიაში სამყარო წარმოგვიდგება საფრთხეებისა და მუქარის მთელი სპექტრის სახით, რომელიც ემუქრება, როგორც სხეულს, ასევე სულს.

ძვ. ჩინეთის ფილოსოფიურ სკოლებში ყოფიერებას განსაზღვრავს სამართლიანობა, წესრიგი და კანონზომიერება სამყაროში, რომელიც მოდის ზეციდან. თუკი მას მიყვები სიკეთეა,თუკი არა, ბოროტება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცოდნას, სახელმწიფოებრივობას და სოციალურ აქტივობას.რის შედეგადაც ადამიანის ცხოვრება უახლოვდება ჰარმონიას, წესრიგს და უსაფრთხოებას.

კონფუცი თვლიდა, რომ სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობისა და უსაფრთხოების წინაპირობაა სახელმწიფოს მართვაში ,,სწორი“ ადამიანების ჩართვა.

ყველაზე სრული ასახვა უსაფრთხოების ბუნებისა შეიძლება ვიპოვოთ პლატონთან და არისტოტელესთან. პლატონის მიერ წარმოდგენილი იდეალური სახელმწიფოს კონცეფცია წარმოადგენს, ჰარმონიას უსაფრთხოების სისტემაში ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობაში. უმაღლეს სახელმწიფო სიკეთედ ითვლება სამართლიანობა, რაც ემსახურება საერთო სიკეთეს და უსაფრთხოებას. სახელმწიფოში უსაფრთხოება განსაკუთრებით უზრუნველყოფილია იქ, სადაც არ არის არც უკიდურესი (გადაჭარბებული) სიმდიდრე და არც უკიდურესი სიღატაკე და როდესაც მართავენ საშუალო შემოსავლის ადამიანები საერთო სიკეთისათვის.

არისტოტელე ავითარებს პლატონის იდეებს, თვლის, რა , რომ მნიშვნელოვანი როლი შეიძლება მიეკუთვნოს პიროვნულ უნარებს სუბიექტისას, სახელმწიფოს მართვაში.

რელიგიურ მსოფლმხედველობით ეტაპზე უსაფრთხოების არსი წარმოგვიდგება, როგორც აბსოლიტური სიკეთე. ღვთის შიში აფრთხილებს ადამიანს არასწორ მოქმედებებზე. რელიგიური რწმენა თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს ადამიანის უსაფრთხო საცხოვრებელი სამყაროს შექმნაში.

შუასაუკუნებრივი ევროპული ფილოსოფია უსაფრთხოების პრობლემატიკაში პრიორიტეტს ანიჭებს ქრისტიანულ რწმენას ადამიანურ გონთან მიმართებაში. უსაფრთხოებას განსაზღვრავს ღმერთის რწმენა.

ამგვარად უსაფრთხოება შუასაუკუნებრივ ეპოქაში ფორმირდება პირველ რიგში ქრისტიანულ ღირებულებებზე: ადამიანები თანასწორნი არიან როგორც ერთმანეთთან, ასევე ღმერთის წინაშე, მეორეს მხრივ სახელმწიფოს ფორმირების პროცესის საფუძველზე.

მნიშვნელოვანი ადგილი სახელმწიფო უსაფრთხოების ფორმირებაში უკავია სამხედრო კულტურას (მაგ. რაინდობა).

აღორძინების ეპოქას შეაქვს თავისი კორექტივები უსაფრთხო არსებობის პრობლემის გააზრებაში.საკუთარი ცხოვრებისა და ბედნიერების შემოქმედად ითვლება ადამიანური ინდივიდუალობა. იმისათვის, რომ მიაღწიოს პირად კეთილდღეობას და უსაფრთხოებას, ადამიანი უნდა მიჰყვეს თავის ბუნებას, შეიძლება ზოგჯერ მკრეხელურს შუასაუკუნებრივი ასკეტური ზნეობრივი იდეალების საზომებით.

აღორძინება ბიძგს აძლევს ზოგჯერ ახალი სოციალური სამყაროს აღქმის მოდელს, რაც ნახულობს თავის ასახვას სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე ახალი თეორიების, სწავლებების გაჩენაში.

მაგ. საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის ფარგლებში პირველად იყო გადმოცემული უსაფრთხო არსებობის პრინციპები.

ახალი დროის პერიოდისათვის შეიძლება გამოვყოთ უსაფრთხოების გაგების შემდეგი ასპექტები: სამართლებრივი ასპექტი (კონსტანტირებულია უფლება თითოეულისა ინდივიდუალურ უსაფრთხოებაზე), ანტროპოცენტრისტული ასპექტი(თითოეულის კეთილდღეობა და ბედნიერება განიხილება, როგორც უმაღლესი ღირებულება), სოციალური ასპექტი (წარმოდგენილია იდეა საზოგადოების ბუნებრივი განვითარებისა და სახელმწიფოსი, როგორც უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუმენტისა)

ნებისმიერი ფილოსოფიური მიმდინარეობა ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, რომელიც იყენებს საკუთარ აქსიოლოგიურ კრიტერიუმებს უსაფრთხოების შეფასებისათვის, ავსებს უსაფრთხოებაზე ცოდნას სპეციფიკური შინაარსით, რომელიც განისაზღვრება კულტურულ -ისტორიული სიტუაციით და გაბატონებული მსოფლმხედველობით. უნდა აღვნიშნოთ, რომსოციალური განვითარების ნებისმიერ ეტაპზე უსაფრთხოებას გააჩნია ადამიანური განზომილება. ის წარმოგვიდგება, როგორც ღირებულება და პირობა თავად ადამიანის ყოფისა და საზოგადოების განვითარებისა, სწორედ ამიტომ უნდა ვისაუბროთ უსაფრთხოების აქსიოლოგიურ და სოციოკულტურულ ხასიათზე.


Nino Shukvani
Tamar Akhalkatsishvili
Tinatin Oboladze
David Oboladze
Ani Gagnidze
Tamar Ruseishvili
besiki oboladze
Mamia Surmava
თინათინ კაპანაძე
Buadze ioseb
Alika Guchua
pridon kenkeba...
Davit Sikharulid...
Tornike
d
doghonadze shota
დაცვის სამსა...
Archil Barbakadze
G
Gvantsa Tsereteli


Tamar Akhalk...
Nino Shukvani
besiki oboladze
Buadze ioseb
pridon kenkeba...
Tinatin Obola...
Запись...
Mamia Surmava


Mamia Surmava
Tamar Akhalkatsishvili
besiki oboladze
Ani Gagnidze
Giorgi Tavadze
pridon kenkebashvili
David Oboladze
Nino Shukvani
USMA იოსებ ბ...
Tinatin Oboladze
d
doghonadze shota
Alika Guchua
თინათინ კაპანაძე
G
Gvantsa Tsereteli
Tamar Ruseishvili
Tornike
Archil Barbakadze
Davit Sikharulid...
ბექა მანაგაძე
Davit Chikvaidze
დაცვის სამსა...
Mamuka chikob...


Запись...
Tamar Akhalkatsishvili
Mamia Surmava
besiki oboladze
Ani Gagnidze
Giorgi Tavadze
pridon kenkebashvili
David Oboladze
Nino Shukvani
Tinatin Oboladze
USMA იოსებ ბ...
d
doghonadze shota
Alika Guchua
თინათინ კაპანაძე
G
Gvantsa Tsereteli
Tamar Ruseishvili
Tornike
Archil Barbakadze
Davit Sikharulidze
ბექა მანაგაძე
Davit Chikvaidze
დაცვის სამსა...
Mamuka chikob...


Nino Shukvani
Tamar Akhalkatsishvili
besiki oboladze
pridon kenkebashvili
Alika Guchua
Tamar Ruseishvili
David Oboladze
Mamia Surmava
Ani Gagnidze
Tinatin Oboladze
Giorgi Antadze
თინათინ კაპ...
Archil Barbakadze
Tornike
d
doghonadze shota
gocha tsopurash...